საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 29 დეკემბერი, 2011 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 96

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
საგანმანათლებლო პროგრამებზე კოდების მინიჭების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის ა) პუნქტის, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისანიჭებელი კოდები, თანახმად დანართისა.

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და სახვითი, სასცენო და კინო–ტელე ხელოვნების ფაკულტეტმა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია